# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**„EU4Innovation East" – ციფრული ინოვაციების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში**



**განხორციელების ვადა:** 01.04.2024 - 30.09.2028

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 20 000 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 22 120 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Expertise France

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/eu4innovationeast,
instagram.com/eu4innovationeast,
linkedin.com/company/eu4innovation-east

**პროექტის ვებსაიტები:** eu4innovationeast.eu

**პროექტის აღწერა:**
პროექტი EU4Innovation გარდაქმნის ეკონომიკურ მდგრადობას და ინოვაციას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სტარტაპის ეკოსისტემის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გზით. პროექტი ხელს უწყობს ზრდას, თანამშრომლობას და უზრუნველყოფს სარგებლიანობის გაზრდას რეგიონისთვის, რასაც ახორციელებს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაჭრით, კერძოდ, ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, ასევე უნარების დეფიციტის და გენდერული უთანასწორობის დაძლევით. პროექტის სტრატეგიის მთავარი მიმართულებებია მაღალმწარმოებლური ინკუბატორების განვითარება, სტარტაპების დაფინანსების და მათი საბაზრო შესაძლებლობების გაუმჯობესება და უკრაინის ტექნიკური სექტორის მიზნობრივი მხარდაჭერა. პროექტი ხელს უწყობს სტაბილურ ზრდას რეგიონში თანადაფინანსების, უნარების განვითარების, რეგულირების სფეროს მხარდაჭერის და გენდერული ინკლუზიის საშუალებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**
(კონკრეტული მიზანი 1): გაუმჯობესებულია წინა-სასტარტო ეტაპზე მყოფი სტარტაპების, მათ შორის ქალთა მიერ დაარსებული ან თანადაფუძნებული სტარტაპების წვდომა ადგილობრივ დაფინანსებაზე (ფონდების მოზიდვა, ვაუჩერები და ა.შ.) აღმოსავლეთის სამეზობლოს რეგიონში;

(კონკრეტული მიზანი 2): აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკოსისტემები სტრუქტურირებული და გაძლიერებულია, რაც ქმნის უფრო ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს ინოვაციების განვითარებისთვის;

(კონკრეტული მიზანი 3): აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკოსისტემები დაკავშირებულია ევროპელ ინვესტორებთან, რომლებიც სტარტაპებისთვის უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ;

კონკრეტული მიზანი — უკრაინა: გაუმჯობესებულია ადგილობრივი სტარტაპების მხარდაჭერა უკრაინის სტარტაპების ეკოსისტემის მხრიდან.